

რედაქცია: სოლოლკა, ბლის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію „Дროზба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროშა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსაზღვრის: ღირს ასობით ასოზე 1 ცენტრად, ცენტრით — 5 კაპუტად.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოსოს და საბეჭდო გამოგზავნისას სტატეის დაბეჭდული სტატეები ავტორს არააპირუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## ოთხი თვის ხელის-მოწერა

### „დროშაზე“

მიიღება რედაქციაში — ბლის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღჩესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дрозда“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდინ, გაზეთით — სამი მანეთი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 29 ოქტომბერს. გაზეთს „თაიმსში“ დაბეჭდილია ვრცელი სტატია რუსის ელჩის გრაფ შუვალოვის ლონდონიდან გამოხმობის თაობაზე და ინგლისის და რუსეთის ერთმანეთთან განწყობებისაგან.

ყოველივე. ამ სტატიაში ხსენებული გაზეთი სხვათა შორის ამბობს, რომ ინგლისს შეუძლიან ეწინააღმდეგოს რუსეთის მმართველობის პლანებსა, მაგრამ რუსის ხალხის გაკიცხვა კი უსამართლოება არისო. „შესაძლებელია, რომ ჩვენსა და რუსეთს შუა სრული თანხმობა ჩამოვარდეს, თუ რუსეთმა ხელ-ახლად არ დაიწყოს თავის დიპლომატიური ოინები სტამბოლში. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ვაცხარებას და უკმაყოფილებას, რომელიც უფრო რუსეთში ჰსუფევს, ვინემ ინგლისში, მშვიდობიანობის დარღვევის შიში არ უნდა გეკონდეს და შესაძლებელია, რომ ამ ორმა სახელმწიფომ და ხალხმა ისევ მეგობრული განწყობილობა იქონიონ ერთმანეთში.“

პარიში, 29 ოქტომბერს. ღღეს იყო ორი სენატორის კენჭის-ყრა: შარანტის დეპარტამენტში ამოიჩიეს ბონაპარტი-სტი მარშალი ძანრობერი და ზემო-ალპის დეპარტამენტში კი რესპუბლიკელი ბიჭჭრე.

მონებისაგან. ამ განთავისუფლების შემდეგ გამეფდება ერთი ვილაც შრიდონის ჩამომავალი, რომელიც ძლიერდება, იქერს ინდოეთს და ჩინეთში მიდის; წინეთ იქ გზაენის თავის გამირებსა საომრათ.

ამ დროს გამოდიან სპარსეთის სალაშქრო ასპარეზზედ შემდეგი პირნი: ბოდერძი, ნურადი, ტუსი, ბეჟანი, შრიდონი, როსტომი და მრავალი კიდევ სხვანი. ამ გამირების ცხოვრებიდან არის ერთი ადგილი ამოღებული და დაბეჭდილი სახელწოდებით „ბეჟანიანი“ 1873 წელს უფ. პეტრე შიკაშვილის მოღვაწეობითა. თაობა თავდება და ინდოეთს მაინც ვერ იქერენ. გამეფებდება სხვა მეფე და გამოდიან კიდევ სხვა გამირები, რომელსაც ხელმწიფე გზაენის ისევ ინდოეთის საომრათ, ეგები ის დაიჭირონ და მით აღასრულონ ანდერძი მამა-პაპათაო.

როგორც შირდიუსი სწერს, იმ დროს სპარსეთში მრავალი ქაროველი გამირებიც ყოფილან, რომელნიც სპარსეთის გამირებს ინდოეთში თან მისდევენ. პოემაში ამ ქართული გამირების სახელებიც არის ჩამოთვლილი. ინდოეთში

## პეტერბურლის ბირჟა, 29 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)	
ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	93—75
მეორე — — —	92—87
მესამე — — —	93—25
მეოთხე — — —	93—25
ალმოსავლეთის პირ.	90—75
ალმოსავლეთის მეორე	90—37
ალმოსავლეთის მესამე	— — —
ოქრო, $\frac{1}{2}$ იმპერიალი	7—83
გირაოს ფურცელი	— — —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	— — —
მან. კაპ.	
პირველი სესხის	230—75
მეორე სესხის	225—90

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	25—18	პენსი
ბამბურლი	216—50	ცენტრი
პარიჟი	268—	სანტიმი
ვენა	129—	ჰფენიგი
ბუკარესტის კერასინი	— — —	

## ფელტონი

როსტომიანი.

„შაჰ-ნამე“ — „Chah Namé“.

(ნათარგმნი სპარსულიდან მეჩვიდმეტე საუკუნეში ხოსრო ოთრმანიძისაგან). (დასასრული\*)

პოემაში პირველი ადგილი შემდეგ მეფეთა და გამირთა უკავია შრიდონ მეფეს, რომელსაც საბერძნეთი და სხვა სახელმწიფოებიც უჭირავს. სპარსეთს ძალით საბერძნეთს, თურანსა და ირანს ართმევენ და სრულიად იმხობა; საშინელი არე-დარევა ხდება, ხალხი იმუსვრება და შველა კი არსაიდან ეძლევა.

აქ ავტორი იწყებს სპარსეთის ხალხის კიცხვას: სხვები უნდა დაეღუპათ, მაგრამ ღმერთმა ესენი დასაჯაო. მაგრამ კიდევ გამოდიან ისეთი გამირები, რომლებიც სპარსეთს ხელ-მეორედ იხსნიან.

ისინი დიდ საომარკვეთილებაში ეარდებიან, მაგრამ მტერს კი მაინც ერევიან; მომეტებული ნაწილი ქართველ გამირებს უღვაწიათ და შემდეგ ამ ქართველ გამირებს სპარსეთის ყეინისათვის წიგნი მიუწერიათ:

„აქ წიგნი ატრასიოსაგან ზურაბთან ქართულად მიწაწერი:“

„მიუწერა ატრასიოს ამა ვოდენს მოგახსენებ, ლეთისა მადლი მოიხმარე, ხრმლითა მტერი დაიმონე, წახველ თურანს საშოვნელად, ქვეყანაზე მოამტკრედე, თურანთ მეფეს წახდენდე, ტანტსა მათსა აოხრებდე.“

ეს წიგნი ზურაბს ქართულად დაწერილი მიუღია, როგორც სწერს შირდიუსი და მთარგმნელიც „როსტომიანისა“ ერთს თავში. შემდეგ ზურაბი სწერს პასუხსა, — რა ენაზე, ამაზე კი არათერს მოგვითხრობს. მხოლოდ მისი წერილი იწყება რაღაც ირანელთა და თურანელთა ომის ამბებითა; ნათავს იმედას კვიციანი მიღსამიფენ ტოტან ფედუკანენ მიგია

\*) „დროშა“, № 225.

# სამართლები

## ძალადის რჩევის სხდომა

29 დეკემბრისთვის.

ამ სხდომაზე გამოაშკარავდა ერთი გარემოება, რომლის გაგება ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებსათვის, უჭკველია, სასიამოვნო იქნება:

საქმე იმაშია, რომ სხდომის განხილვითანავე ხმოვანმა თ. ბ. ჩოლოყაშვილმა გამოაცხადა, რომ ქალაქში გავრცელებულია ხმაო, ვითომც ბაქო-თფილისის რკინის გზა პირ-და-პირ თფილისზე არ გაივლისო, ვითომც ავტალაში შენდებამ უმთავრესი სტანცია და იქილამ უპირებენ განვევას ქალაქის მარცხენა მხრითაო. ეს ამბავი ძალიან აწუხებს ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებსაო, სთქვა უფ. ხმოვანმა, და ამის გამო სასურველია შევითქვათ—თუ რამდენათ მართალია ის?

ხმოვანმა უფ. სტატკოვსკიმ ამ კითხვას სთქვა პასუხად, რომ მე, როგორც მმართველობისაგან დანიშნულს ამ გზის ინსპექტორს, შემიძლიან დავარწმუნოთ, რომ აღრინდელი პროექტი ბაქო-თფილისის რკინის გზისა არ შეცვლილა, არც არავის შეუძლია, გარდა დ. მ. ნამესტნიკისა და ჩემ-და შეუტყობინებლად, და ამის გამო ბაქოში მიმავალი რკინის გზა უჭკველად თფილისსად გაივლისო და უმთავრესი სტანციაც ამ გზისა თფილისში იქნება გამართულიო.


მეორე საგანი, რომელზედაც კრებაში ხანგრძლივი ბაასი ატყდა, იყო სასაფლაოების გადატანა ქალაქის წრილად

ნავთლულის იქაო. ბამგეობის (შპრავის) მოხსენებლად შევიტყუთ, რომ ამ საგანზე 1877 წელს ჩამოვარდნილა პირველად ლაპარაკი და ქალაქის რჩევას, აღმინისტრაციის წინადადებით, გარდაუწყვეტია მაშინ, რომ ქალაქის ყველა ახლანდელი სასაფლაოები უნდა დაიხუროსო და მაგიერად ერთი სასაფლაოეო უნდა დაწესდესო ყველა რუჯულის მცხოვრებლებსათვის ნავთლულს იქით. მაგრამ სამდღელოება არ დათანხმებულა ამაზე; იმას უჩვენებია მეორე ადგილი—მანათის ხევი, სომხის (ხაჯევანის) სასაფლაოს მახლობლად, რადგან ნავთლულში წაღება მიცვალბებულებსა, განსაკუთებით ღარიბებისათვის, ერთობ სამძიმო იქნებო. ბამგეობის აზრი ის იყო, რომ რჩევა გაჩერდეს თავის უწინდელს გარდაწყვეტილებასზე, ე. ი. ნავთლულს იქით დაწესდეს სასაფლაოეო.

რჩევამ გადაწყვიტა, რამ რადგან ნავთლულის იქით საზოგადო სასაფლაოს გამართვა ერთობ სამძიმო იქნება ხალხისათვის, ამის გამო ეს საგანი იმავე მდგომარებაში დარჩეს, რა მდგომარებაშია დღეს არის, იმ დროდინ, სანამ შპრავა არ მოახანავს მიცვალბებულების გადასატანად გზის (ცხენის რკინის გზის) გაკეთების საშუალებას.

შემდეგ რჩევამ განიხილა ბამგეობის აზრი იმაზე, რომ ავლაზრის მადანზე და იარბუკაზე გაიშართოს საფაქრო შენობები სოფლის ხალხისათვის, რომელთაც ხორაგეული ან სხვა რამ ჩამოაქეთ ქალაქში გასასყიდლოდ. ამ სახლების გასაშენებლად, თუ ქვის ავაშენეთ, 12 ათასი მანეთი დაჯდებაო და თუ ხსანი ათასი. მაგრამ ამ საგანზე რჩევამ ვერაფერითარი გარდაწყვეტილება ვერ დასადო, რადგან ზოგიერთი ხმოვანები წა-

ვიდნენ და კანონიერი რიცხვი იმათი აღარ დარჩა კრებაში.



დღისრი

\* \* \* თელავილამ გვატყობინებენ, რომ მომავალი წლის დამდევსათვის ჩვენს ქალაქში იხსნება „დვო“ ანუ ძალაშია დამზოგელოთა ამხანაგობისაო. ამ ძალაშიის დაარსებისათვის დიდი ხანია დაუწყიათ მეცადინეობა და ზოგი ფული შეგროვილიც არისო.

\* \* \* თელავილამვე გვწერენ, რომ ამ მოკლე ხანში იქ უფ. ხირსელს გაუხსნია სპიჩკის ქარხანა, რომელიც რამდენიმე თვეა, რაც მოქმედებსო. ამის სპიჩკა დუქინი სამ შაურად იყიდებაო. ამბობენ, ქალაქელ ტერაბ ატუროვის სპიჩკას ბევრად სჯობიაო. ბააკვირველია, რატომ ეს სპიჩკა თფილისში არ იყიდება; ნუთუ მარტო თელავისთვის არის ქარხანა გახსნილი?

\* \* \* ძახეთილამვე გვაცნობებენ, რომ ალავერდის ეკკლესია თან-და-თან ფუჭდებაო, ჭერილამ წვიმა ჩამოღისო, კედლები ღებებო და თუ რამე ღონისძიება არ იხმარეს, უჭკველია, რამდენიმე წლის განმავლობაში ეს უზარმაზარი მონასტერი დაიქცევაო.

\* \* \* ჩვენ მივიღეთ ორი ახალი წიგნი ამ დღეებში გამოცემული უფ. ბ. ჩარკვიანისაგან, სახელდობრ „წიგნი უკუშულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“ და „სურამის ციხე“, მოთხრობა დანიელ ჰანქაძისა. ორივე წიგნების მეორე გამოცემა. ლამაზად, შროიანად დაბეჭდილი

„რა გათენდა, მხემან შეუქი მოაფინა სრულად ხმელოდ, „ირანელნი დაემზადნენ, შემოიშტყეს ხმალი წელოდ, „სიხეზედა აწ მოვიდეს, ზურაბს ჰქონდა შუბი ხელოდ, „წასულიყვენერანელნი, ომის ნაცვლოდ რბოდენ ველოდ.“

ზადის რამდენიმე ხანი, სპარსეთში ტყდება საშინელი ახალი ომები. რუს ტომის სიცოცხლე რამდენსამე ას წელიწადს გრძელდება, ისე რომ კაცი მისცხოვრების რიცხეს ვერც კი გამოიკვლევეს.

ამ გამირების შემდეგ მთარგმნელი იწყებს თავისაგან მოთხრობას ზოგიერთ სპარსეთის ისტორიულ დროებაზე. ამ თავში არის მეტის-მეტათ მშვენიერი სიტყვებით წერა სატრფოსაგან სატრფოსადმი წიგნებისა, და მშვენიერად ბუნების აღწერაები და შემკობა. წიგნილამ სიანს, რომ ამ ლექსების შემდეგ მთარგმნელი ხდება ავთო. ამ დროს ძართლში ბაგრატ მეფე მჯდარა. თურმანიძეს თავისი ავთომყოფობის გამო და თავის შესაქცევად ბაგრატ მეფისთვის

შემდეგი ლექსი მიუწერა:

„ბაგრატ ვნახე, მარანსა ჯდა, მუხრანს შექნა ნადიმობა, ხელ-ჰყო საყდარს აშენებდა, დაიჩმე ბატონობა, ძველი ტახტი განაახლა, დაჰყვა ღვთისთამორჯმულობა, და ნადლევი ვარ, რუსთველსა თუ მეტი ექნას ჩემოდნობა

ბაგრატ მეფე სწერს პასუხს რუსთველის მავთერად, ასეა დაწერილი ამ პოემის მთარგმნელთან:

„რას მამერჩი ბერი ბერსა, მე გაველეჩე ლამაზ ვით, „შშიყი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დაშენა, „შენ ტყულილად შემოგფიცეს, მათ აუბნეს ტკბილი ვნა, „თუმცა ფასი არ ჰიბოძა, მან რუსთავი ამიშენა.

ამ ლექსების შემდეგ იწყება სხვა მეფების მოქმედებების აღწერა, რომელთ მეთობაშიაც გამოდიან სხვა მრავალი

შესანიშნავნი გმირნი და ფალავანნი; კიდე გამოდიან ქართველი გმირები. აქედამ იწყება მრავალი შესანიშნავი ტრაგიკული ამბების აღწერები, აქედამ იწყება განმარტებით მრავალი მაგალითების დასამტკიცებლად ფილოსოფიური და სწევობითი ზღაპრების გადგეგვა; ზოგიერთს ალაგას ავტორი მითოლოგიასაც ეხება.

პოემაში ხშირად სტირიონ სპარსეთის გმირები თავიანთ დამარცხებას; ბევრადგილას ისეთს სასოწარკვეთილებაში ვარდებიან, რომ ხანდისხან შემოქმედსაც კი ჰკიცხავენ.

შემდეგ სპარსეთში ხდება დიდი ცვლილება: მეფე თურქმენებზე საომრად წასულა და მას სხვათა შორის როსტომ გმირიც თან გაჰყოლია; მას შინ დარჩენია ორსულად ცოლი, რომელსაც შემდეგ ვაჟც მისცემია. როსტომი კი იქ ტყვედ დაუჭრიათ თურქმენებსა. მისი შვილი რომ გაზდილა, მეტის-მეტი ღონიერი გამოსულა და მრავალ ალაგას ბევრი ფალავანიც დაუმარცხებია.

მთხელ ამ ყმაწვილს თავის ღვიღისთვის უკითხავს: ღვიღ, ყველას მამები ჰყავთ და რატომ მე არა მყავსო? ღვიღას



პატარა წიგნები. მსიცი დიდი არ არის: თითო თითო აბაზად იყიდება.

\* \* ამ ღლებში გამოვიდა **თულის-ში** აგრეთვე „სახარება“ და „სამოკრეპლო“ ერთადგამოცემული ბრიტანიის საზოგადოებისაგან; მშენიერს ქალღმადუნე და კარგათაც დაბეჭდილია. **მრივე** ერთად აბაზად ღირს.

**„ღრმების“ კორესპონდენცია**

**ზამათალის მარხილამ, 16 ოქტომბერს.** წლებულს ბევრი მხრებიდან ისმის საჩივარი წლის მოსავლის მცირეობაზე; ზოგს ადგილებიდან კიდევ იწერებთან რომ სულ არ ფერა არ მოგვივიდაო; ღების მადლით, ჩვენს მხარეში ისეთი საშიში და გასაჭირი წინებები ცხოვრებისათვის ჯერ არა სჩანს.

პური და ქერი საშუალოთ მოვივიდა პარკი აბრეშუმისა საგანგებო, ფეტი და (ჩაოთუქები) ბრინჯი საკმაოთ. რა თქმა უნდა უნდა, ვისაც არ უნდა რიყეზედ ქვას არ დაინახმა, ან კიდევ ვინც არ დასტი, ის ვერც მომკის.

წლებულს ამ ჩვენს მხარეს მოვიდა საკვირველი კარგი და მშვენიერი მასავალი ყურძნისა, ასე, რომ მცხოვრებლებში ადგილს ვერც კი შობდნენ, რომ ჩვენსათ ყურძნის წვენი და ჭაჭა ჩაეყარათ. სთვლებში კარგი სასარგებლო და სასიხარულო მუშაობა ჰქონდათ ხალხს: ეხლა თითქმის გაათავეს ყურძნის მუშაობა, ზოგი გაყიდეს და ზოგი თავიანთების შეინახეს, ასე რომ რაც ამ წინა წლებში მოუნდებოდათ და ინახვდნენ თავიანთების, იმდენიც წლებულს

შეინახეს, და რაც მეტი იყო, ის გაყიდეს.

ახლა გაანობათ, ჩვენში როგორი ბედი მოაგლინა ღმერთმა საკუთარი ყურძნების გაყიდვისათვის: ზაქათლის მარხილამ ინგილოებს აქვსთ მამა-პაპითე დიდი და მშვენიერი ვენახები, თითონაც უფრო შრომის მოყვარე ხალხნი არიან სხვა აქაურ ხალხებზედ, ე. ი. თათრებზედ და ლეკებზედ; მეტადვე უფრო გამოცდილი არიან ვენახის კეთებაში. ჩვენში თუმცა მრავალი მოსავალი იცის ყურძნისა, მაგრამ საუბედუროთ, ღვინოები კარგი ვერა სდგება როგორც ძახეთისა. მე მგონია უფრო ხერხი არ იცინ და დაყენებისათვის დახლოვნებულნი არ არიან. ამისათვის აქ კარგი ღვინო მამა-პაპითე ფასობდა საშინელ დაბალ ფასათა, ე. ი. თალარი 3 მან. ანუ 4 მანეთად (ერთი თალარი ღვინისა არის 15 ვედრო). მაგრამ ამ ორის წლის წინათ გასაკვირველი ფასი დაეღვა აქაურ ღვინოებსა; ერთი თალარი გაიყიდა 20 მანეთად და უფრო მეტათაცა. ამის დამნახველმა ინგილოებმა მოუმატეს ვენახის მუშაობას; მაგრამ ჩქარა ისევ დაიწია ღვინის ფასმა ძველებურათ. რაც უნდა იყოს კიდევ მაინც შრომა უბრალოთ და უსარგებლოთ არ გვეკარგება, ახლა მაინც ისყიდება ღვინო; თუმცა დაბალ ფასად, მაგრამ მოგებაში ვართ.

უწინ ჩვენკენ არც ღვინო ისყიდებოდა და არც ყურძენი, ვინ იყო პატრონი, რომ გაესალდებინა, ჩაფებით და ხელადებით სვამდნენ; ეხლა კი საკმაოთ სასძელიცა გვაქვს, და გაყიდვითაც ფულით სარგებლობთ.

მს ხუთი ანუ ექვსი წელიწადია ქალაქ თფილისიდან ერთი სომეხი ალექ-

სანდრე მეღვინევი მოსწონს მსხვერპლს ზაქათლის მარხილამ, რომელიც შემოვიდა, ააშენა სპირტის სახელო ორთქლის ზაოდ; დაიწყო ერთგულათ მუშაობა და ვაჭრობა. მ. უ. მეღვინევი თუმცა სომეხია, მაგრამ ყოფი ქციევი კი მიჰყავს უფრო მეროპის განათლებულს კარგს სეინიდისიან და დახელოვნებულ კაცს; წელიწადში ამ კაცს შემოაქვს ზაქათლის მარხილამ უკანასკნელი ოცი ათას მანეთამდინ. შოველგან ყიდულობს ყურძნის ვენახებსა, თითონ თავისი საქონლით ეზიდება და სხვასაც ქირით აზიდინებს; ასე რომ სამი ანუ ორი თვის განმავლობაში ას კაცამდინ მუშები ჰყავს. თქვში თუმწით დაწყებული 20 მანეთამდინ ალღევს თითო კაცს ჯამაგირსა. ამ ზაოდში ყური რომ უვდოთ, რამდენი სჯულის კაცები იპოვებინა: საღაღას უზნდის ქართველები, ნუხას უზნდის სომეხები და უდიები, დაღსტველი გულხადრები და ლეკ-თათრები. მააკვირველი ეს არის, ამდენი არეული ხალხი რა ნაირათ შეგობრულათ სცხოვრებენ. რომ ნახათ ამ მუშების დღიური საზრდო, დაწმუნდებით ეს კაცი როგორ ჰქცევა და რა პატავი აქვსთ საქცილით და სასძელით; ამისთანა პატვის დამნახველი მუშებიც თავ გადადებულნი არიან თავის ალია სამსახურისათვის.

წლებულს დავკრიფეთ ვენახები, აგვემო ჭურჭლები, ადგილი ალარ იყო, რომ ჩაგვესხა. ამ კაცმა იყიდა; ჩვენც ვისარგებლეთ და ამადაც ისარგებლობს რომ კვლავაც იყიდას.

ჩვენისთანა მხარეს ეჭირება ამისთანა კაცი, საქონელი გაგვისაღოს, შრომამ ცუდათ არ ჩაიაროს; განა სხვა მიკიტნები კი არ არიან თავიანთი ფლავის

მიუვირა, შენცა გყავს, შეილო, მაგრამ თურქმენების მეფეს ტყვეთა ჰყავსო. შემდეგ ამისა ის მომზადებულა და წასულა მამის დასახსნელად. მს რომ ხალხს გაუგია, მაშინათვე თურქმენების მეფისთვის უცნობებით და იქაურს მთაგრეხს შეუყრათ პირობა, რომ ეს კაცი და როსტომი ყასიდათ დავაჭიდოთო, თორემ, თუ ამათ ერთმანეთის ეინაობა შეიტყეს, ჩვენც დაგვწვეტენ და ჩვენს ხალხსაცაო. შემდეგ მრავალის ყოყმანობისა და წვალებისა მოუხერხებით და ერთს ადგილას როსტომი და იმის შვილი დაუჭიდებოთ. პირველად როსტომი დაუშარცხებია და იმ ღღეს წასულა; მეორე ღღეს კიდევ უნდა მოსულოიყო; მეორე ღღეს რომ მოსულა და დაჭიდებულან, ახლა მამას დაუშარცხებია და დამარცხებისათანავე ხანჯალი დაურტყამს გულში. ამ ღროს ვაქს დაუყვარა: „მამივე, მე ხომ მომკალ უსამართლოდო, მაგრამ საღ წაუხვალ განთქმულ მამა ჩემსო, ის მაინც დაგცემსო!“ როსტომი ეჭვიში შევა და გამოჰკითხავს და როცა ის ყმაწვილი აღმოჩნდება მის შვილად, გამწარებული ია რა სიტყვებს იძახის:

„მაი ანჯამო ფალავნად, ტირილით როსტომ ყვიროდა, შეილობით მოსთქვამს საბრალო, თავს მიწა გარღმოსდიოდა, მინდორთა ფრეწა და ხელთა და მუღმივ მივ ოფლი სდიოდა, სრემლისა ნაცვლად თვალთაგან სისხლისა სრემლი სცივოდა.“

„ხურაბ თქვა, ყამად კმა არის, ჩვენ ვაი რაცა ექვნითა, შარესია მოვიკლავ თავსა თავისის ხელითი, მს მოსავალი მოვიდა სირვევით, რაცა ექვნითა, და გარდახდა ჩემი სოფელი არ მოსანდომი ღმერთი.“

მს ადგილი, საცა მამა და შვილი ჭიდაობენ, მუკოვსკისაც აქვს რუსულად ნათარგმნი ნემცურითმა.

როცა შეილისთვის ხანჯალი დაუტია და შეიღს რომ როსტომის სახელი უხსენებია, მამა ეჭვიში შესულა, გაუხსნია შეილისათვის დოშოლუღს პირი და გულზე დედისაგან მიცემული სახსოვარი უნახავს, რომლითაც ის ნამდვილად

უცენია. მს ამაგვი მომხდარა შაფის მთასთან, რომელსაც „შარამანიანშიაც“ სწავს ხელებენ, რომ შარამანიან შაფის მთა ასწიო და ქვეშ ჯარი გაატარო. მით ადგილას როსტომი იძახის, რომ შარამანი ჩემი პაპა იყოო, იმან ეს მთა გადაიარაო, ღვეის მზგავსი ლაშქრით და მოკლა მტერი ჯინბაჯნიო.

პოემის ბოლოს სპარსეთი სრულად ემზობა, საუკეთესო გმირები იხოცებიან და მთელი საქეფიც ირღვევა. საზოგადოთ პოემის ნაკლებეფანება ის არის, რომ რამდენ და რომელ საუკუნეს შეეხება; ამას ვერ გაიკვებს კაცი. მაგრამ რაც უნდა იყვეს, ეს პოემა ისეთი შესანიშნავი რამ არის, ისეთი მარგალიტია სპარსულ ლიტერატურისა და ისე კარგათაც არის ქართულად ნათარგმნი, რომ ზოგიერთ თავებს მაინც რომ დაბეჭდვა ეღიროს, ურიგო არ იქნება.

ზ. მთაწმინდელი.

